

საქართველოში ელ-ფორმატით განხორციელებული ტრენინგების
მონაწილეთა კმაყოფილების შეფასება

გვანცა შონია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მიქავა - მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა შონია

30/06/2022

აბსტრაქტი

სწავლა და განვითარება ნებისმიერი ორგანიზაციისთვის, რომელიც წარმატებისკენ მიისწრაფვის, მნიშვნელოვანია. COVID-19-მა განაპირობა სწავლების პროცესის ცვლილება, რომელიც გულისხმობს ონლაინ რეჟიმში სხვადასხვა სახის ტრენინგების უზრუნველყოფას. ელექტრონულ ფორმატში განხორციელებულმა ტრენინგებმა, დაანახეს ორგანიზაციებს, რომ სწავლის პროცესის განხორციელება შესაძლებელია დაბალი ბიუჯეტით და დროის დაზოგვით. მოცემული ნაშრომი ემსახურება პასუხების გაცემას შემდეგ კითხვებზე: არიან თუ არა მონაწილეები ონლაინ ტრენინგით კმაყოფილნი, რა იწვევს მათ კმაყოფილებას და თუ რომელი სახის ტრენინგია მათთვის მისაღები - ონლაინ, პირისპირი თუ ჰიბრიდული.

ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა როგორც თვისებრივი ასევე რაოდენობრივი კვლევა, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ ონლაინ ტრენინგებით მონაწილეთა უმრავლესობა კმაყოფილია. მათ კმაყოფილებას იწვევს საინტერესო ტრენინგ თემატიკა, მონაწილეთა ჩართულობა და ახალი ინფორმაციის მიღება. მონაწილეთა კმაყოფილების ამაღლების მიზნით სასურველია მონაწილეთა ჩართულობის უზრუნველყოფა სხვადასხვა ელემენტების გამოყენებით, იქნება ეს გამოკითხვების ინტეგრირება, კითხვების დასმა, ჯგუფური თუ ინდივიდუალური დავალებები და ა.შ..

კვლევის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 92-მა ადამიანმა, დგინდება, რომ მხოლოდ ონლაინ ტრენინგების განხორციელება მონაწილეებისთვის მისაღებია პროგრამული და ტექნიკური მოდულების დაგეგმვის დროს, ხოლო დანარჩენ სხვა შემთხვევაში ჰიბრიდული ტრენინგების განხორციელებაა მათთვის უპირატესი. ნაშრომი დაეხმარება ტრენინგებს და ორგანიზაციებს, დაგეგმონ ონლაინ ტრენინგები ისე, რომ მონაწილეთა კმაყოფილება იყოს მაქსიმალური.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ონლაინ ტრენინგი, ელექტრონული ტრენინგი, სწავლება და განვითარება, მონაწილეთა კმაყოფილება.

Abstract

Learning and development is essential for any organization that strives for success. COVID-19 has led to change the process of teaching, which means to provide a variety of trainings in the online format. The trainings, conducted in electronic format, showed the organizations that the learning process can be implemented with low budget and time savings. this paper serves to provide answers to the following questions: Are the participants satisfied with the online training, what causes their satisfaction and what kind of training is acceptable to them - online, face-to-face or hybrid: Are the participants satisfied with the online training, what causes their satisfaction and what kind of training is acceptable to them - online, face-to-face or hybrid.

Both qualitative and quantitative research was conducted within the framework of the Master thesis, according to which it was found that the majority of participants were satisfied with the online training. There satisfaction was caused by interesting training topic, involvement of participants and receiving new information. In order to increase the satisfaction of the participants, it is desirable to ensure the involvement of the participants by using different elements, it can be the integration of surveys, asking questions, group or individual assignments, and etc.

The study, in witch 92 people participated, found that only the software and technical modules can be planned in online training, while in other cases hybrid training is acceptable. The paper will help trainers and organizations plan online training sessions to maximize participant satisfaction.

Keywords: online training, e-training, Soft skills, Hard skills, training and development, participant satisfaction.